ოქმი N 8

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2015 წლის 27 აგვისტო

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლევან ქავთარაძე
2. მზია ლემონჯარია
3. ლეონიდე ლოლუა
4. ჯემალ ნადარაია
5. კახა მიქაბერიძე
6. ლაშა ცატავა
7. გიორგი ხურცილავა
8. ირაკლი ნადარაია
9. ალექსანდრე ნაჭყებია

სხდომას თავმჯდომარეობდა ლ. ქავთარაძე - კომისიის წევრი

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 28 ივლისის N06/1293 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2015 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N102 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -9, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 28 ივლისის N06/1293 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად

შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2015 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N102 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. გაბუნია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2015 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ და განაცხადა, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მოქალაქეთა მიერ შემოტანილი განცხადებების საფუძველზე საოპერაციო თანხების ნაწილობრივ დაფინანსების მიზნით გაცემულ იქნა საგარანტიო წერილები, 2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით აღნიშნულ დახმარებაზე გამოყოფილი თანხა არასაკმარისი აღმოჩნდა, რის გამოც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2015 წლის მუნიციპალური პროგრამით ხანძრის და სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარების თანხიდან 10000 (ათი ათასი) ლარი გადატანილიყო საოპერაციო თანხის ნაწილობრივ დაფინანსების მუხლში, რაც განხორციელდა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 30 ივნისის N512 ბრძანებით, კერძოდ: ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება განისაზღვრა 20000 (ოციათასი) ლარით, ხოლო საოპერაციო ხარჯების დაფინანსება განისაზღვრა 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარით. გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი საკითხის გატანა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გატანა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი განხილულ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე დოდო გაბუნია